

შავ ზღვაში სამხედრო-საზღვაო წვრთნები დასრულდა

A3



თბილისს ბელა ახმადულინა ეწვევა

A5



უეიდმა აზიაც დაიპყრო

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 23 აგვისტო, 2006 წელი. №188 (1340)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

# ვაშინგტონის მხარდაჭერა

## კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოები არ უნდა იმყოფებოდნენ

ვერიკო თევზაძე

*გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ამერიკის კონგრესის წევრმა, სენატორმა რიჩარდ ლუგარმა გაამჟღავნა ოფიციალური ვაშინგტონის მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკისადმი: "შეერთებული შტატების მთავრობა ეთანხმება საქართელოს პოზიციას, რომ კონფლიქტის ზონაში არ უნდა იყვნენ რუსი სამშვიდობო ჯარები. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და დადებითად ვაფასებთ ყველა იმ ცვლილებას, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელდა."*

22-24 აგვისტოს თბილისში სტუმრად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია. გუშინ დელეგაციის ხელმძღვანელი, "რესპუბლიკელი" სენატორი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა. შემდეგ ჟურნალისტებისთვის გაიმართა პრესკონფერენცია.

ლუგარის განცხადებით, კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ფორმატის შეცვლის საკითხი საკუთრივ საქართველომ უნდა გადაწყვიტოს. მიუხედავად ამისა, ამერიკელმა სენატორმა გაახმოვანა შეერთებული შტატების პოზიცია იმის თაობაზე, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციას წარმატებით მხოლოდ ნეიტრალური ძალა განახორციელებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თანამედროვე აეროპორტი დათქმულ ვადაში

დიანა ჩაჩუა

*ერთ დღეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ჟურნალისტმა ჰკითხა: ბატონო ირაკლი, თბილისის აეროპორტის მშენებლობა როდის დაიწყებაო. მინისტრი გაოცდა და იფიქრა: სჯობს, ჟურნალისტები ხვალვე წავიყვანო მშენებლობის სანახავად, თორემ ამხელა მონაგარი წყალში მეყრებაო. ხუმრობა ხომ არ არის - ყველას ახსოვს, რა ფასად დაუჯდა საქართველოს მთავრობას თბილისის აეროპორტის მშენებელი კომპანიის პოვნა. ერთი სიტყვით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ტერმინალის მშენებლობის პროცესს კი გუშინ ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე და ქართული მედია ერთად გაეცნენ.*

გაგრძელება A4 გვერდზე



# ელფრიდეს ვნებანი




# ბრალდება ოპოზიციის მისამართით

საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გარკვეული ჯგუფი, მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის, დაფინანსების მისაღებად პოლიტიკურ მოლაპარაკებებს ლონდონში, ბადრი პატარკაციშვილთან და ბორის ბერეზოვსკისთან მართავს. ამის შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა.

მისი თქმით, ხელისუფლება ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები დავით გამყრელიძე და ფიქრია ჩიხრაძე უკვე იმყოფებოდნენ ლონდონში პატარკაციშვილთან შესახვედრად, "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი დავით უსუფაშვილი კი ლონდონში გამგზავრებას უახლოეს დღეებში აპირებს.

გიგა ბოკერიას განცხადებით, მათ გარდა, "ლონდონში წამსვლელთა რიგებში დგანან" "კონსერვატიული პარტიის" ლიდერი კობა დავითაშვილი და პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია. მისი ინფორმაციით, საქართველოს ოპოზიციისა და პატარკაციშვილ-ბერეზოვსკის პოლიტიკური მოლაპარაკებები ძირითადად ორ საკითხს შეეხება - ოპოზიცია მათგან მომავალი არჩევნებისათვის დაფინანსებას ელოდება და თბილისის მერის პოსტზე ერთიან კანდიდატად ბადრი პატარკაციშვილის დასახლებას აპირებს.

გიგა ბოკერიას მიაჩნია, რომ ამგვარი ტიპის პოლიტიკური მოლაპარაკებები საზოგადოების ზურგს უკან და საქართველოს ფარგლებს გარეთ არ უნდა მიმდინარეობდეს. მისივე თქმით, ოპოზიციის პოლიტიკურმა ლიდერებმა ასეთი გადაწყვეტილებების მიღების დროს მხოლოდ ფინანსური საკითხები არ უნდა გაითვალისწინონ.

*ინტერპრესნიუსი*

# ახალი თანამედროვე სამხედრო ბაზა

*საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ შეიარაღებული ძალების საჩხერის სამთო სასწავლო ცენტრი მოინახულა. პრეზიდენტმა პირადად დაათვალიერა სასწავლო ცენტრის ბაზის განახლებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ფრანგი და ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე მოეწყო.*

ნათია მსხილაძე

საჩხერის სასწავლო ცენტრის განახლებასთან დაკავშირებით, საქართველო მოლაპარაკებებს ნატო-ს წევრ ქვეყნებთან, ძირითადად, საფრანგეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან აწარმოებდა. საჩხერის სამთო ცენტრში მომზადებას საქართველოს შეიარაღებული ძალების მსუბუქი ქვეითი ბატალიონების სამთო ქვედანაყოფები გაივლიან. სასწავლო პროგრამები უკვე შემუშავებულია და სწავლება, სავარაუდოდ, სექტემბრიდან დაიწყება.

საჩხერის სამთო სასწავლო ბაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა, პრეზიდენტთან ერთად, აშშ-ს სენატორმა რიჩარდ ლუგარმა, საქართველოს მთავრობის წევრებმა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მიიღეს. როგორც პრეზიდენტმა მიხეილ სააკავშვილმა განაცხადა, ახალი სამხედრო ბაზა ქვეყნის უსაფრთხოებას კიდევ უფრო განამტკიცებს. **" ჩვენთვის ეს დღე მნიშვნელოვანია. ვხსნით კიდევ ერთ ახალ თანამედროვე სამხედრო ბაზას საქართველოში. რეგიონში გვაქვს ყველაზე პატარა, თუმცა ყველაზე გაწვრთნილი და მომზადებული არმია. ისინი მოტივირებული არიან მაღალ დონეზე დაიცვან ქვეყანა და შეასრულონ საბრძოლო ამოცანები. მომავალი წლის 26 მაისს გორთან ასევე თანამედროვე სამხედრო ბაზა გაიხსნება"**, - განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა აშშ-სა და საფრანგეთის წარმომადგენლებს, შესაბამისად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მიმართა და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. **" 1921 წელს არ არსებობდა პოლიტიკური ნება და მთავრობის სრული შემადგენლობა საფრანგეთში გადასახლდა. დღეს ჩვენს სამთო ბატალიონს ფრანგი ოფიცრები წვრთნიან და ეს არის იმის გარანტი, რომ გადასახლება არსად მოგვიწევს. ჩვენ საიმედოდ ვიქნებით დაცული"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

სკოლა, რომელიც ყველა საერთაშორისო ნორმებს აკმაყოფილებს, საჩხერიდან ერთი კილომეტრით არის დაშორებული. სკოლაში 150-მა კურსანტმა, ფრანგი ინსტრუქტორების დახმარებით, მომზადება უნდა გაიაროს.

სამთო-მსროლელთა გადამზადებისათვის სკოლის მშენებლობა და ტექნიკური აღჭურვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით მოხდა. ახლადგახსნილ სკოლაში სწავლება სექტემბრიდან დაიწყება, მასში მომზადებული კურსანტები საკონტრაქტო პირობებით იმსახურებენ.

# პროკურორი ბრალდებებს უარყოფს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ბოლო ერთი წლის განმავლობაში კახეთის სამხარეო პროკურატურამ არა ერთი მძიმე დანაშაული გახსნა. ერთ-ერთი მათგანი გურჯაანში მომხდარი გახმაურებული დანაშაულია - დედა-შვილის ნინო და დარინა პაპუნაშვილების და ცოლ-ქმრის ნიბლაძეების მკვლელობები. თუმცა, დანაშაულში ბრალდებულთა ადვოკატები ირწმუნებიან, რომ პროკურატურამ გამოძიება მთელი რიგი დარღვევებით აწარმოა, მათ დასაკავებლად კი მტკიცებულებები არ არსებობდა.

ოლქის პროკურორის მისამართით სერიოზულ პრეტენზიებს რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები გამოთქვამენ. კახეთის მთავარი პროკურორი თამაზ ცაბუტაშვილი კი მისი უწყების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს "24 საათთან" საუბარში უარყოფს.

**- ბატონო თამაზ, ბოლო დროს კახეთის სამხარეოს პროკურატურის მუშაობას რეგიონში მოქმედი ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები და ადვოკატები უარყოფითად აფასებენ. მათი განცხადებით, თქვენი უწყება პოლიტიკურ შეკვეთებზე მუშაობს და მტკიცებულებებს აყალბებს. მაგალითად, საუბარია გურჯაანში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობებზე, რომელიც თქვენმა სამსახურმა გახსნა, მაგრამ მიმდინარე სასამართლო პროცესებზე იკვეთება, რომ მოწმეების ჩვენებები გამომძიებლის მიერაა გაყალბებული და დამნაშავეებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთი კახეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანია, ბრალეულობის დასადასტურებლად მტკიცებულებები არ არსებობს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## სამართალი

### ტერაქტი ქიმიკოსმა სტუდენტებმა განახორციელეს

"ჩერკიზოვსკი ბაზარში" აფეთქებებთან ნაციონალისტური თუ ფაშისტური დაჯგუფებების კავშირი იკვეთება. ბაზარში ბომბი მათ კონკრეტულად "იდეური მოსაზრებების" გამო მიიტანეს - რათა დაეხოცათ "არარუსები". ოპერმუშაკებმა დააკავეს სამი ეჭვმიტანილი და დაადგინეს მათი რამდენიმე თანამზრახველის, მათ დაჯგუფების ლიდერის ვინაობა.

A2

## პოლიტიკა

### დახმარება ურანის გამდიდრების შეწყვეტის სანაცვლოდ

საერთაშორისო საზოგადოება მზად არის დაეხმაროს ირანს იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალური თეირანი ურანის გამდიდრების პროგრამაზე უარს იტყვის. საერთაშორისო საზოგადოება ირანს დახმარებას ჰპირდება სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის სამოქალაქო ბირთვული ტექნოლოგიის წარმოებაში.

A3

## ბიზნესი

### საქართველოში კავშირგაბმულობის ბაზრის 35-40 პროცენტი ათვისებულია

დსთ-ს ქვეყნების სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, საქართველო ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობით მეექვსე ადგილზეა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 23/08 | 24/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 40 |
| ბათუმი | 37 | 40 |
| ქუთაისი | 39 | 43 |
| გორი | 32 | 35 |
| ონი | 28 | 31 |
| ზუგდიდი | 40 | 43 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7430 |
| ევრო | 2.2430 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2953 |
| რუბლი | 0.0653 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

მოკლედ

## პროფესიონალი ქურდების ჯგუფი დააკავეს

როსტოვის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, ქალაქის მეთვალყურეობის ერთ-ერთი მორიგი რეიდის დროს ბინების პროფესიონალი ქურდების ჯგუფი დააკავა. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, ისინი საქართველოს მოქალაქეები აღმოჩნდნენ.

**"როსტოვის ცენტრში ახალგაზრდების ჯგუფმა პოლიციის თანამშრომელთა ყურადღება მიიპყრო. ეტყობოდათ, რომ ისინი ნერვიულობდნენ. ერთ-ერთ მათგანს ზურგზე დიდი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. სამართალდამცველებმა მათი შემოწმება გადაწყვიტეს, საპასუხოდ ბიჭები გაიქცნენ",** - ამბობს როსტოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ვალერი ზახანევიჩი.

სამართალდამცველებმა ჯგუფი დააკავეს. როგორც გაირკვა, ეს ქართველ კრიმინალთა ის დაჯგუფება აღმოჩნდა, რომელიც როსტოვში ძირითადად ბინების გაქურდვით იყო დაკავებული. დამნაშავეთა ბანდის წევრები ქართველები არიან. მათ დაკავებისას ნაქურდალი ნივთები და "ოსა"-ს ტიპის პისტოლეტი აღმოაჩნდათ. სამი ქართველი ბოროტმოქმედის წინააღმდეგ, ქურდობის მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ორი მათგანი როსტოვის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება, ერთი კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით დროებით განთავისუფლებულია. მიმდინარეობს გამოძიება. **24 საათი**

## დააკავეს ჯგუფის ლიდერი

შსს სპეცოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი იოსებ დათეშიძე დააკავეს. შს სამინისტროს განცხადებით, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დათეშიძე ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად თბილისში დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, იგი ხუთჯერ ნასამართლევია და, ამჟამად, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევისა და ადამიანის გატაცებისათვის იყო ძებნილი. როგორც შს სამინისტროში განმარტავენ, იოსებ დათეშიძე თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად ყაჩაღობის მიზნით მოქალაქეებზე თავდასხმას გეგმავდა. იოსებ დათეშიძეს პირადი ჩხრეკისას "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერპრესნიუსი**

## ტორბენ ჰოლცეს მასალები გადასცეს

"წინ, საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კობახიძემ საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენელს ტორბენ ჰოლცეს ირაკლი ბათიაშვილის საქმესთან დაკავშირებული მასალები გადასცა.

"ძალიან სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სკითხთან დაკავშირებით ბატონ ელჩსაც კრიტიკული დამოკიდებულება აქვს", - განუცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ კობახიძემ "ინტერპრესნიუსს".

მისი თქმით, შეხვედრა ძალზე საინტერესო იყო. კობახიძის ინფორმაციით, ტორბენ ჰოლცესთან ირაკლი ბათიაშვილის საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე და ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა.

გიორგი კობახიძემ ევროკომისიის წარმომადგენელს ირაკლი ბათიაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული მიმართვები და განცხადებებიც გადასცა.

"წინ, საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერის თქმით, ევროკომისიის წარმომადგენლობაში მას ბათიაშვილის საკითხის შესწავლას დაჰპირდნენ. კობახიძე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა იქნება იმის განმსაზღვრელი, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ირაკლი ბათიშვილის გარშემო.

"წინ, საქართველო" აპირებს, საქართველოში აკრედიტებულ სხვა საელჩოებს და წარმომადგენლობებსაც მიმართოს. კობახიძის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს მოძრაობის ოფისში სახალხო დამცველთან შეხვედრაც იგეგმება, სადაც სამომავლო მოქმედების გეგმები დაისახება. **ინტერპრესნიუსი**

## კონტროლის პალატის რევიზია

საქართველოს კონტროლის პალატამ დაასრულა 174 რევიზია-შემოწმება, რომელმაც 410 ობიექტი მოიცვა. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" კონტროლის პალატიდან აცნობეს, ჩატარებული რევიზია-შემოწმებების შედეგად აღმოჩენილია სერიოზული დარღვევები. საქართველოს კონტროლის პალატამ სამართალდამცველ ორგანოებში, სამართლებრივი რეაგირების მიზნით, გადააგზავნა 113 რევიზია-შემოწმების მასალა, ანუ სულ ჩატარებული რევიზია-შემოწმებების 64,94 პროცენტი.

პროკურატურის ორგანოებში გადაგზავნილია - 75, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში - 25, ფინანსურ პოლიციაში - 13 საქმე;

სამართალდამცველ ორგანოებში გადაგზავნილ მასალებთან დაკავშირებით, ექვსი თვის მონაცემებით, წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს 34 რევიზია-შემოწმების მასალაზე. დღეისათვის მიმდინარეობს 39 რევიზია-შემოწმება 55 ობიექტზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კონტროლის გამკაცრება

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობა რიგგარეშედ შეიკრიბა და ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებზე და ზამთრის პერიოდისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე იმსჯელა. ედუარდ კოკოითის მთავრობამ იმ ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქტროპულ მედიკამენტთა სია დაადგინა, რომელთა შემოტანაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში აიკრძალება ან მათი შეზღუდული რაოდენობა ნებადართული იქნება.

სხდომაზე მეორე საკითხად 2006-2007 წლების ზამთრის პერიოდისთვის მოსამზადებელი სამუშაოები იყო. როგორც აღინიშნა, თითქმის ყველა საგანმანათლებლო და სკოლამდელი დაწესებულება ზამთრის პერიოდისთვის თითქმის მზადაა. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, ამ დაწესებულებების შეშით მომარაგების პროცესი 20 სექტემბრამდე დასრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოფისი გაიხსნა

თბილისის ნაძალადევის რაიონში იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ოფისი გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოში საბერძნეთის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოფისის შენობა, რომელიც თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე მდებარეობს, საბერძნეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა.

"სამოქალაქო რეესტრის სამსახურთან მოსახლეობას ყველაზე ხშირი შეხება აქვს. ჩვენი მიზანია, მოქალაქეებს ჰქონდეთ სრული კომფორტი და ჩვენი თანამშრომლებისაგან მიიღონ მაღალი დონის მომსახურება", - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა. გია ქავთარაძის ინფორმაციით, სამოქალაქო რეესტრის ნაძალადევის რაიონის სამსახური, საბურთალოსა და ვაკის რაიონების ოფისების შემდეგ, თბილისში მდებარე მესამე ოფისია, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ახალგარემონტებული ოფისები აქვს რუსთავში, ბათუმში, ქუთაისში, მარნეულსა და ბოლნისში. ასეთივე ოფისი თბილისის ყველა რაიონში გაიხსნება და, ამასთან, საქართველოს რეგიონებში დაიწყება იუსტიციის სახლების კონცეფციის რეალიზება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## იუსტიციის სახლები საქართველოს ყველა რეგიონში გაიხსნება

იუსტიციის სახლები საქართველოს ყველა რეგიონში გაიხსნება. გია ქავთარაძის ინფორმაციით, მასში თავს მოიყრის ყველა იმ ტერიტორიული სამსახურის ოფისი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

მოქალაქეთათვის მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამოქალაქო რეესტრის სისტემის რეფორმის პირველ ეტაპზე გაერთიანდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და საპასპორტო სისტემა. ამ ფუნქციების ერთ უწყებაში თავმოყრის შემდეგ, ზრუნვა დაიწყო ოფისების ერთ შენობაში განთავსებაზე.

შენობების რეკონსტრუქციასთან ერთად გამარტივდა დოკუმენტების გაცემის პროცედურა. პასპორტის გაცემისას ტერიტორიული შეზღუდვა მოიხსნა - მოქალაქეს, რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად, პასპორტის მიღება სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერ სამსახურში შეუძლია, სადაც მოქალაქის პასპორტი გაიცემა.

ამასთან, შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მოქალაქეს პირადობის მოწმობისა და პასპორტის მიღება დაჩქარებული წესით, განაცხადის შეტანის დღეს, განაცხადის შეტანიდან 24 საათის გასვლიდან მესამე და მეხუთე დღეს შეუძლია. ჩვეულებრივი ტარიფი მოქმედებს პასპორტის მეათე დღეს მიღებისას, ხოლო პირადობის მოწმობა, ამ შემთხვევაში, უფასოა. მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, იქონიოს რამდენიმე პასპორტი. 2006 წლის ბოლოსთვის მოქალაქის 32-გვერდიან პასპორტთან ერთად ხელმისაწვდომი იქნება 48-გვერდიანი პასპორტი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში კურიერის სამსახური ამოქმედდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გურიის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტერიტორიულ სამსახურებში კურიერის ინსტიტუტი ამოქმედდა. კურიერის მომსახურებით მოსახლეობა უკვე სარგებლობს კახეთის, იმერეთის, აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებში.

ახალი მომსახურება მოსახლეობას საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქის პასპორტი მათი რაიონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში მიიღოს. აქამდე მოქალაქეებს პასპორტის მისაღებად რეგიონულ ცენტრში უწევდათ ჩასვლა.

სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში კურიერის ინსტიტუტის დანერგვის გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ რეგიონებში ჩატარებული მონიტორინგისას მიიღო.

კურიერის მომსახურება პირველად 2006 წლის აპრილში, კახეთის რეგიონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში გახდა ხელმისაწვდომი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პროკურორი ბრალდებებს უარყოფს

პირველი გვერდიდან



კახეთის პროკურორი თამაზ ცაბუთაშვილი.

- ყველა ადვოკატის მოვალეობაა, რომ დაიცვას თავისი დაცვის ქვეშ მყოფი და თქვას, რომ მის დასაკავებლად მტკიცებულება არ არის საკმარისი. ის, რომ პროკურატურას მტკიცებულებები არ მოეპოვება, აბსურდია. მინდა გითხრათ, რომ ამ საქმეს სასამართლო უკვე მეხუთე თვეა იხილავს. მოწმეები ჩვეულებრივ ცხადდებიან პროცესებზე და თუ ვინმე ამბობს, რომ ჩვენებები მათი დაწერილი არ არის, ამაში მათ ვერ დავეთანხმები. შეიძლება რომელიმე კონკრეტული ჩვენება დაწერილი იყოს გამომძიებლის მიერ, მაგრამ მოწმის კარნახით, რასაც გამომძიებელი შემდეგ უკითხავს მოწმეს, რომელიც დასტურის ნიშნად ჩვენებას ხელს აწერს.

არ გამოვრიცხავ, რომ მოწმეებზე ზეწოლას ციხიდან ის პირები ახდენდნენ, რომლებიც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არიან დაკავებული. რეალურად კი ბრალეულობის დასადასტურებლად მტკიცებულება საკმარისად არის მოპოვებული. აქედან გამომდინარე, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ჩვენი უწყება დაადანაშაულონ. მინდა გითხრათ, რომ ამ დროისთვის თითქმის ყველა მოწმეა დაკითხული და მოსამართლე მათ სავარაუდოდ ერთ კვირაში გამოუტანს განაჩენს.

**- ბატონო თამაზ, ამ ბოლო დროს კახეთშიც გაჩნდა იმის ტენდენცია, რომ თანამდებობის პირთა თუ ბიზნესმენთა დაკავებას საფუძვლად უდევს პოლიტიკური სარჩული, ზოგიერთი მაღალჩინოსნის გარკვეული ინტერესები. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ ფაქტად არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები ლუკა რამაზაშვილის დაკავებას ასახელებენ. იმის გარდა, რომ რამაზაშვილი ბიზნესმენი იყო, იგი გარკვეულწილად, ლობირებას უწევდა თელავის ადგილობრივ ტელევიზიას. იქ გასული კრიტიკული სიუჟეტები კი ხშირად რეგიონის და ადგილობრივი ხელმძღვანელობის, ასევე, სამართალდამცველების გაღიზიანებასაც იწვევდა.**

- მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ლუკა რამაზაშვილი კრიმინალია. მას არავითარი საერთო არა აქვს ბიზნესთან, იგი ამოფარებულია ბიზნესმენთა ზურგს. მინდა გითხრათ, რომ ამ პიროვნებას ჰყავდა შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც აწიოკებდა მოსახლეობას და ბიზნესმენებს. მისი ზეწოლის შედეგად კახეთიდან ორი ბიზნესმენია გაქცეული და დღემდე რამაზაშვილის შიშით რუსეთს აფარებენ თავს. ლუკა რამაზაშვილი მათ ფულს "აწერდა". მათ შორისაა ბუქარაიძე და ერთ-ერთი ლალისყურელი ბიზნესმენი. ყარაჯალელ ფერმერ ნასრედინ ნაბიოლლს კი, სხვა პირად ნივთებთან ერთად, 750 სული ცხვარი წაართვა. მართალია, რაიონის მაშინდელი პოლიცია საქმის კურსში იყო, მაგრამ უშედეგოდ. იმაზე უკვე აღარ გესაუბრებით, რაც თავდაპირველად მისი დაკავების მიზეზი გახდა. დავძენ, რომ ჩვენ საკმაო ხანს მოგვიხდა მუშაობა რამაზაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებები რომ მოგვეპოვებინა. ამ საქმესთან დაკავშირებით პროცესი რამდენიმე დღეში დასრულდება. რამაზაშვილს ბრალად ყაჩაღობა, ქურდობა და გამოძალვა ედება. ასე რომ, ჩვენ არავის დაკვეთაზე არ ვმუშაობთ.

**- თქვენ უარყოფთ პოლიტიკურ დაკვეთებს, რას იტყვით ე. წ. სფეროების გადანაწილების გამო წარმოებულ ბრძოლებზე. კახეთშიც არის ასეთი ფაქტები. ერთ-ერთ ასეთ ფაქტად შეიძლება თელავის გამგებლის მოადგილის ჯუმბერ დარჩიაშვილის და მამამისის, ამავე რაიონის აგრარული ბაზრის დირექტორის დაკავება გავიხსენოთ. მართალია, გამგებლის ყოფილი მოადგილე თანამდებობის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ამხილეთ და დააკავეთ, მაგრამ მალევე მის ოჯახს სასამართლომ ბაზარი ჩამოართვა. დარჩიაშვილები აცხადებენ, რომ ამ საქმის უკან კახეთის გუბერნატორის პეტრე ცისკარიშვილის ინტერესები იდგა და სასამართლომ და პროკურატურამაც მისი შეკვეთით იმოქმედა.**

- მე კიდევ მინდა განვაცხადო, რომ ჩვენ დაკვეთაზე არ ვმუშაობთ. ვინც დამნაშავეა ყველა უნდა დაისაჯოს. დარჩიაშვილთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ თავდაპირველად დარღვევები კონტროლის პალატამ აღმოაჩინა. შემდეგ კი საქმე პროკურატურაში გადმოაგზავნეს შესასწავლად. ჯუმბერ დარჩიაშვილი წლების განმავლობაში კულტურის განყოფილებაში მუშაობდა. გამოძიებით დადგინდა, რომ მას იმ დროს ბიუჯეტიდან გამოჰქონდა თანხები, რომელზეც არავითარი დოკუმენტები არ ჰქონდა, ფული კი ვიღაცვიღაცების ჯიბეში მიდიოდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ მიერ დაიკითხნენ როგორც ბუღალტერი და მოლარე, ასევე სხვა თანამშრომლებიც, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დარჩიაშვილი მათ თანხების გამოტანას ავალებდა, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. სახელმწიფო ზარალმა 180-დან 200 ათას ლარამდე შეადგინა. ეს კი საკმაოდ სოლიდური თანხაა და ამის გამო პასუხი უნდა აგოს მან. პირებმა, რომლებიც კულტურის განყოფილებაში მუშაობდნენ და ამ საქმესთან შეხება ჰქონდათ, გამოძიებასთან ითანამშრომლეს და მათ გირაო შეეფარდათ. მართალია, დარჩიაშვილი თავიდან კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს, თუმცა ბოლოს აღიარა. რაც შეეხება ბაზარს, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე წელია, რაც სასამართლო პროცესები მიდის და ამ საქმესთან პროკურატურას არანაირი კავშირში არ აქვს.

**- ბატონო თამაზ, კონტროლის პალატამ თელავის გამგეობაში საკმაოდ სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. საუბარი იყო 132 ათასი ლარის არამიზნობრივად გახარჯვაზე. საქმე რეაგირებისთვის თქვენს უწყებას გადაეცა, მაგრამ დღემდე გამოძიების შედეგები არ გახმაურებულა.**

- კონტროლის პალატის მიერ შემოწმდა ხარჯვის კანონიერება. ჩატარდა სრულყოფილი გამოძიება და დადგინდა, რომ თანხები არავის მიერ მითვისებული არ ყოფილა. მოხდა ის, რომ ლიფტების გასაკეთებლად გამოყოფილი თანხა გაიხარჯა სახურავებისთვის. ასე რომ, ეს თანხები არავის მიუთვისებია. თანხები მიზნობრივად გაიხარჯა. ლიფტების შეკეთებას დიდძალი თანხები სჭირდებოდა და ის თანხები გადაქაჩული იყო სახურავების შესაკეთებლად.

**- მიუხედავად თქვენი განმარტებებისა, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციებს ნაწილს კახეთის სალოქო პროკურატურის მიმართ ნდობა დაკარგული აქვს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლოს განაჩენი თქვენი უწყების ზეწოლით გამოაქვს.**

- ეს აბსურდია. შემიძლია მაგალითად მოვიყვანო რამდენიმე საქმე. ახმეტაში არის მოსამართლე გელა შაშიაშვილი, რომელმაც ერთ-ერთ საქმეზე, როცა ჩვენ მოვითხოვეთ 10 წლით პატიმრობა, მან განსასჯელი გაამართლა. იყო ასეთი საქმე - მკვლელობის მცდელობა, სადაც მოვითხოვეთ რვა წელი, მაგრამ გელა შაშიაშვილმა ბრალდებულს ორი წელი მიუსაჯა. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ სასამართლო ხელისუფლება თავისუფალია და დამოუკიდებელი, ჩვენ მათ საქმიანობაში არ ვერევით.

# ტერაქტი ქიმიკოსმა სტუდენტებმა განახორციელეს

"ჩერკიზოვსკი ბაზარში" აფეთქებებთან ნაციონალისტური თუ ფაშისტური დაჯგუფებების კავშირი იკვეთება. ბაზარში ბომბი მათ კონკრეტულად "იდეური მოსაზრებების" გამო მიიტანეს - რათა დაეხოცათ "არარუსები". ოპერმუშაკებმა დააკავეს სამი ექვმიტანილი და დაადგინეს მათი რამდენიმე თანამზრახველის, მათ დაჯგუფების ლიდერის ვინაობა. უკვე მოხდა მათი სახლების ჩხრეკა, სადაც აღმოჩენილი იყო ასაფეთქებელი ნივთიერების სოლიდური მარაგი, იმის მსგავსი, რაც "ჩერქიზოვსკის ბაზარში" აფეთქდა.

ვერსიამ იმის შესახებ, რომ აფეთქებები განხორციელდა ნაციონალურ საფუძველზე, უპირატესობა მიიღო - განუცხადა "ინტერფაქსს" მოსკოვის პროკურორმა იური სიომინმა. მისი თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა დამზადებული იყო "საყოფაცხოვრებო პირობებში". მან აღნიშნა, რომ დაკავებულია აფეთქებებში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება.

"ისინი სხვადასხვა სპეციალობების არიან და მათი ასაკი არ აჭარბებს 25 წელს" - აცხადებს სიომინი. მისი თქმით, გამოძიებას არ აქვს მონაცემები, რომ ეჭვმიტანილები რომელიმე ოფიციალურ ორგანიზაციას ეკუთვნიან, "მათ არანაირი პარტბილეთი არ აღმოაჩნდათ", - აღნიშნავს მოსკოვის პროკურორი.

"ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სკინხედების გამოხტომები მოსკოვში, თავდასხმები "არარუსებზე" მეტროებში, ქუჩაში, დარბევები ბაზარში და სინაგოგაში - სანკტ-პეტერბურგში და სხვა ქალაქებში - ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ხელისუფლება ამ შემთხვევებში მხოლოდ მორიგი ფაქტის დაგმობით შემოიფარგლებოდა და კატეგორიულად არ აღიარებდა რასისტული და ფაშისტური გამოხტომების ორგანიზაციულ ხასიათს, რადგან თვლიდა, რომ ეს მოვლენები ატარებდნენ მხოლოდ საყოფაცხოვრებო ხასიათს. შესაბამისად თავად ნაციონალისტები, თუკი რაიმე "განსაკუთრებულს" არ ჩაიდენდნენ, ხელისუფლების და სპეცსამსახურების მხრიდან პრესინგს არ განიცდიდნენ. ბაზარში მომხდარმა აფეთქებამ კი ცხადყო, რომ "ფაშისტი ლაწირაკები" შესაძლოა იყვნენ ისევე საშიშნი სახელმწიფოსთვის და უბრალო მოქალაქეებისთვის, როგორც ჩეჩენი "ბოევიკები". ფაქტიურად ისე გამოვიდა, რომ ნაციონალისტებმა ტერორისტების რიგები შეავსეს - წერს გაზეთი "ვრემია ნოვოსტეი".




**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ვაშინგტონის მხარდაჭერა

პირველი გვერდიდან

როგორც სენატორმა აღნიშნა, ნეიტრალური ძალის აუცილებლობა განსაკუთრებით აფხაზეთში არსებობს. რაც შეეხება კონფლიქტის მეორე ზონას - სამხრეთ ოსეთს, ლუგარის შეფასებით, იქ ვითარება განსაკუთრებული სირთულით არ გამოირჩევა. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ სამხრეთ ოსეთში ჩანაცვლება საჭირო არ გახდეს.

ამერიკელი სენატორი მხარს უჭერს აფხაზეთში დევნილების მშვიდობიან დაბრუნებას. მისი აზრით, ამ საქმეში შედეგს წარმატებული დიპლომატიური სვლები გამოიღებს.

ამერიკის კონგრესის დელეგაცია თბილისს აზერბაიჯანში ვიზიტის დასრულების შემდეგ ესტუმრა. საქართველოში ვიზიტისას განსახილველ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა ენერგეტიკული უსაფრთხოებაა. როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან და ამერიკელმა სენატორმა ისაუბრეს საქართველოსა და ამერიკას შორის ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობაზე, რაც საბოლოო ჯამში, ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებას ისახავს მიზნად. **"ამჟამად კონგრესი მუშაობს ენერგეტიკის კანონმდებლობაზე, რომელიც დამატებითი მხარდაჭერა იქნება ჩვენთვის ენერგოდამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და, საერთოდ, კასპიის რეგიონში ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობისათვის",** - განაცხადა ნოღაიდელმა.

ნოღაიდელის ინფორმაციით, საქართველოში აშენდება და ერთობლივ ქართულ-ამერიკულ მართვაში მოექცევა სპეციალური ვეტლაბორატორია. ამერიკის კონგრესის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში განიხილება საქართველოში ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შესაბამისი ნივთიერებებისა და გადამზიდი სისტემების იზოლირებისა და განადგურების საკითხი.

ამ მიზნით, ამერიკის მხარე მზად არის, "ნან-ლუგარის" საკანონმდებლო აქტის მიხედვით, გამოყოს ფინანსური და ტექნიკური დახმარება საქართველოსათვის.

ვიზიტის პირველ დღეს სენატორმა ლუგარმა საქართველოში მიმდინარე პროცესებს "აღმშენებლობის პერიოდი" უწოდა. მისი შეფასებით, ჩვენი ქვეყანა წარმატებებს აღწევს როგორც განათლების და უსაფრთხოების სფეროში, ასევე ნატო-ში გაწევრიანების გზაზე.

დღეისათვის დაგეგმილია დაავადებათა კონტროლის ცენტრის დათვალიერება. სენატორი ლუგარი დელეგაციასთან ერთად მოინახულებს ერთობლივი საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში მოქმედ შეიარაღების საუტილიზაციო ბაზას და ბიოლოგიურ დაწესებულებებს.

# შავ ზღვაში სამხედრო-საზღვაო წვრთნები დასრულდა

შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის "ბლექსიფორის" აგვისტოს თვის აქტივიზაციის ფაზა გუშინ ბათუმში საზეიმოდ დაიხურა.

აქტივაციის პროცესი ქალაქ ნოვოროსიისკში დაიწყო და მასში შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები მონაწილეობდნენ. მცურავი საშუალებები მეცადინეობებს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ატარებდნენ.

სწავლების დროს, შავ ზღვაში ძებნა-გადარჩენის, ჰუმანიტარული დახმარების, ნაღმსაწინააღმდეგო და გარემოს დაცვითი ოპერაციები ჩატარდა. სწავლების ძირითადი მიზანი, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება და სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის ურთიერთთანამშრომლობა იყო.

ორშაბათს "ბლექსიფორის" ტექნიკური შტაბის სარდლობას და ხომალდთა სარდლებს საოქმო ვიზიტები ჰქონდათ აჭარის ავტონომიის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელობასთან. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა საერთაშორისო რანგის ხომალდებზე ასულიყო. ეკიპაჟებისთვის კულტურული და სპორტული ღონისძიებები გაიმართა.



ინტერპრესის ფოტო

პირველად, "ბლექსიფორის" არსებობის მანძილზე, ხომალდებმა საზღვაო ავიაციასთან ერთად ჩაატარეს სამოქალაქო პირთა პირობითი კონფლიქტის ზონიდან ევაკუაციის ოპერაცია, მუქარის მოგერიების ელემენტებით.

ორგანიზაცია " ბლექსიფორი" "გაერო"-ს უშიშროების საბჭოს მანდატის საფუძველზე 2001 წლის 2 აპრილს ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის შექმნის დოკუმენტს შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა ხელი ქალაქ სტამბოლში მოაწერეს. "ბლექსიფორი-2006"-ის მასპინძელი ქვეყანა წელს რუსეთის ფედერაციაა.

*ინტერპრესნიუსი*

# დახმარება ურანის გამდიდრების შეწყვეტის სანაცვლოდ

თეა მაისურაძე

საერთაშორისო საზოგადოება მზად არის დაეხმაროს ირანს იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალური თეირანი ურანის გამდიდრების პროგრამაზე უარს იტყვის. საერთაშორისო საზოგადოება ირანს დახმარებას ჰპირდება სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის სამოქალაქო ბირთვული ტექნოლოგიის წარმოებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური პასუხი ირანს გუშინ უნდა გაეცა. ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, ოფიციალურმა თეირანმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე პასუხი თეირანში მყოფ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნებისა და გერმანიის ელჩებს წერილის სახით გადასცა.

ერთი მხრივ, ირანის პოზიცია ურყევია, რადგან ოფიციალური თეირანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის თავის ეროვნულ ინტერესებს არ დათმობს. თუმცა, საერთაშორისო საზოგადოება იმედს იტოვებს და მიიჩნევს, რომ შესაძლოა ოფიციალურმა თეირანმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს შემოთავაზებაზე დადებითი პასუხი გასცეს.

გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის აზრით, ოფიციალური თეირანის პასუხი დასავლეთისათვის დამაკმაყოფილებელი იქნება, რაც ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარებას ხელს შეუწყობს.

ორშაბათს, ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ღამის ეთერით ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი კამენეიმ განაცხადა, რომ ოფიციალური თეირანი გააგრძელებს ბირთვულ პროგრამას. სულიერი ლიდერის განცხადებით, ირანმა უკვე მიიღო თავისი გადაწყვეტილება და პოზიციას არ შეცვლის. ალი კამენეიმ დასავლეთი ირანის მეცნიერული პროგრესისათვის ხელის შეშლაში დაადანაშაულა, თუმცა გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალური თეირანის პოზიცია ცოტა უფრო ლოიალური და განსხვავებულია ალი კამენეის განცხადებისაგან.

ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ირანი მზად არის ჩაერთოს შემდგომ მოლაპარაკებებში, რაც ბირთვული საკითხის გადაჭრას ისახავს მიზნად.

შეგახსენებთ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ ირანს მიმდინარე წლის 6 ივნისს შესთავაზა დახმარება ურანის გამდიდრების პროგრამის შეწყვეტის სანაცვლოდ, ხოლო პასუხის გაცემის საბოლოო თარიღი 23 აგვისტო თავად ირანმა შეარჩია.

გამდიდრებული ურანის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისათვის. ირანის განცხადებით, მას ურანი ელექტროენერგიის წარმოების გაზრდისათვის ესაჭიროება, ხოლო საერთაშორისო საზოგადოება კი მიიჩნევს, რომ ოფიციალური თეირანი ბირთვული იარაღის დამზადებას ისახავს მიზნად.

გაერო-ს უშიშროების საბჭო მოითხოვს, რომ ირანმა ურანის გამდიდრება 31 აგვისტომდე შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოფიციალური თეირანი მკაცრი ეკონომიკური და დიპლომატიური სანქციების წინაშე აღმოჩნდება, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ უშიშროების საბჭოში მიღწეულ იქნეს კონსენსუსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც ირანთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირები გააჩნიათ, ოფიციალური თეირანის წინააღმდეგ სანქციებს მხარს არ დაუჭერენ. ამის გარდა დასავლეთში არის გარკვეული შიში იმისა, რომ სანქციების შემთხვევაში ირანი ნავთობის ფასებს გაზრდის, რაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობას შექმნის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. ირანი ნავთობის მარაგებით მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა.




## საქართველომ 2001-2005 წლებში ძლიერი არმიის შექმნა მოახერხა

ყოველწლიურმა პოპულარულმა სამხედრო გამოცემამ "ჯეინს სენტინელ სეკურიტი ასსმენტ"-მა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ვრცელი სტატია მიუძღვნა. გამოცემის ექსპერტების აზრით, საქართველომ 2001-2005 წლებში ძლიერი არმიის შექმნა მოახერხა.

გამოცემის ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველომ აშშ-გან დახმარების სახით 1,3 მილიარდი დოლარი მიიღო და ამ თანხის დიდი ნაწილი სწორედ თავდაცვის სისტემის გაძლიერებას მოხმარდა. ასევე, საქართველომ თურქეთისაგან სამხედრო საჭიროებისათვის 40 მლნ დოლარი მიიღო.

გამოცემის ექსპერტების ინფორმაციით, 2001-2005 წლებში საქართველომ შეიძინა 24 ტანკი, 97 ჯავშანმანქანა, 95 საარტილერიო დანადგარი, ოთხი სასაზღვრო ვერტმფრენი, ოთხი მოიერიშე სუ 25 ტიპის თვითმფრინავი, ოთხი მიგ-23 ტიპის გამანადგურებელი, ხუთი სამხედრო ვერტმფრენი და 100 000-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

*მედიანიუსი*

მოკლედ

## საქართველოს საგარეო უწყება ბორდიუჟას განცხადებას პასუხობს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს .პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა რუსეთის ფედერაციის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბორდიუჟას განცხადებებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

"ბატონ ბორდიუჟას ეტყობა დაავიწყდა, რომ საქართველო უკვე დიდი ხანია აღარ არის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და რა გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული ამ გაერთიანების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მას არანაირი ძალა არ ექნება", - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას წინ უძღოდა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების გენერალური მდივნის ნიკოლაი ბორდიუჟას განცხადება, რომლის მიხედვითაც, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების მონაწილეობა არ არის გამორიცხული.

"მას შემდეგ, რაც კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების საბოლოოო ჩამოყალიბება მორჩება და ამ გაერთიანებაში შემავალ ქვეყანათა მეთაურები ამ ძალების მონაწილეობას არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში მიზანშეწონილად მიიჩნევენ, ეს ასეც მოხდება", - ამბობს ბორდიუჯა და დასძენს, რომ აღნიშნული სამშვიდობო ძალები უახლოეს მომავალში შეიქმნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## არძინბა: აფხაზურ მხარეს შეშფოთების საბაბი არ აქვს

აფხაზური გამოცემა "ფორუმი", აფხაზეთის ე.წ. პირველ პრეზიდენტთან ვლადისლავ არძინბასთან ინტერვიუს აქვეყნებს. არძინბა საუბრობს იმ მიზეზებზე, რომლთა გამოც "აფხაზეთმა 1993 წელს ომი მოიგო და საქართველოს არმია გაანადგურა".

"ჩვენი ერი მაშინ ბეწვის ხიდზე გავიდა და გაიმარჯვა. ამის მიზეზი კი უპირველეს ყოვლისა იყო ის, რომ აფხაზეთის მთელმა აფხაზმა მოსახლეობამ იარაღს ხელი მოკიდა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. გამარჯვების მეორე მიზეზი კი არის ის, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ არ ვიყავით მარტო - ჩვენ გვერდით დადგნენ ჩვენი ძმები ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთიდან. ჩვენი გამარჯვების მესამე ხელისშემწყობი იყო ის, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი, აფხაზი ხალხის მიმართ გულგრილნი არ დარჩენილან", - ამბობს ვლადისლავ არძინბა.

ინტერვიუში არძინბა გვერდს არც კოდორის მოვლენებს უვლის და ამბობს, რომ ჯერჯერობით, აფხაზურ მხარეს შეშფოთების საბაბი არა აქვს და დაე, აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური მთავრობა იჯდეს ხეობაში სადაც წელიწადში შვიდი თვე თოვლი დევს.

"მაგრამ, ამავე დროს, ყურადღების მოდუნებაც არ შეიძლება, რადგან არ არის გამორიცხული სიტუაცია ჩვენს წინააღმდეგ შემოტრიალდეს. ამასთან ერთად, არ არის საჭირო, აფხაზეთის ხელისუფლებამ წინასწარ გაახმაუროს ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმასაც აპირებს და ყველას აზრი გაითვალისწინოს. ომის დროს ყველასთვის რომ ჭკუა გვეკითხა, ასეთ შედეგს ნამდვილად ვერ მივიღებდით", - ამბობს არძინბა.

აფხაზთა "პირველი პრეზიდენტი", საუბრობს რა აფხაზეთის აღიარების საკითხზე, ამბობს, რომ კოსოვოს აღიარება აფხაზეთისთვის პრეცედენტი უნდა იყოს. ამავე დროს არძინბა საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს და აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტას არ ურჩევს.

"შედეგები საქართველოსთვის მეტად სავალალო იქნება. ზოგადად კი აფხაზეთის ირგვლივ არსებული სიტუაცია მაინც რთულია და ნურავის დაავიწყდება გამონათქვამი - "გინდა მშვიდობა - ემზადე ომისთვის", - დასძენს ვლადისლავ არძინბა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზური მხარის მტკიცებით, კოდორში საქართველოს სამხედრო ძალა ორჯერ გაიზარდა

აფხაზური მხარის მტკიცებით, კოდორში საქართველოს სამხედრო ძალა ორჯერ გაიზარდა.

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს და ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობაში განუხრელად ზრდის სამხედრო ძალის რაოდენობას.

"კოდორის ხეობაში ამჟამად სამხედრო ძალის რაოდენობა საქართველოს მხრიდან ორმაგად გაზრდილია. იქ დგას მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, საზენიტო-სარაკეტო დანადგარები და ნაღმმტყორცნები. ამჟამად კოდორის ხეობაში თავმოყრილია საქართველოს სამხედრო ძალების ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე", - ნათქვამია განცხადებაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაზე საუბრობს

გაზეთ "რესპუბლიკა აფხაზიასთვის" მიცემულ ინტერვიუში სეპარტატისტული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე სტანისლავ ლაკობა აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენებით, საქართველოს ხელისუფლება თავისივე დაგებულ ხაფანგში მოხვდა.

"ეს პიარ-გამარჯვება, რომლითაც მოსახლეობაში მიხეილ სააკაშვილის რეიტინგის აწევას ცდილობენ და რომლითაც საქართველოს მოსახლეობას უქმნიან ილუზიას, თითქოს აფხაზეთის პრობლემა მოგვარდება, სულ მალე კრახით დასრულდება.

აფხაზური მხარე ყოველივე ამის დროს კი, ადგილობრივი სვანი მოსახლეობისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპირისპირებას ადევნებს თვალს. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზური ხელისუფლება სვანების მიმართ ტოლერანტობის დემონსტაციას ახდენს", - ამბობს ლაკობა.

ეხება რა კოდორის ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გადასვლის საკითხს, ლაკობა ამბობს, რომ ამ ე.წ. მთავრობის არსებობას აფხაზეთის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

"გაეროს მანდატში მომლაპარაკებლად ორი მხარეა დაფიქსირებული - ქართული და აფხაზური და შესაბამისად გაეროს განერალური მდივნის წარმომადგენელი ორ ქალაქში, თბილისსა და სოხუმში ატარებს მოლაპარაკებებს", - აღნიშნა სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სახელმწიფო მინისტრის აპარატი რუსული მხარის ბრალდებას უარყოფს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი პროტესტს გამოთქვამს რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომელიც 20 აგვისტოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარ ინციდენტში ქართული მხარის შესაძლო კავშირზე მიანიშნებდა.

როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ქართული მხარე ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაციის ინიციატივით გამოვიდა, შესაბამისად, რეგიონში მიმდინარე ნეგატიური მოვლენების გამოაშკარავება ქართული მხარისთვის სხვებზე არანაკლებ პრიორიტეტულია. შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონი 20 აგვისტოს ე.წ. "პაუკის" სამეთვალყურეო პოსტის მისადგომებთან განაღმვის სამუშაოებს ასრულებდა. სამშვიდობოების მიერ პოსტთან შემჩნეული იქნა კომუფლიაჟში გადაცმული ორი პიროვნება, რომლებიც არ დაემორჩილნენ სამშვიდობოების მოთხოვნას და ტყეში მიიმალნენ. ამ ფაქტს სამშვიდობოების მიერ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოჰყვა. კომუფლიაჟიანი პირების დაკავება ვერ მოხერხდა.

"სამწუხაროა, რომ რუსულ ელექტრონულ მედიაში, რუსი სამშვიდობოების მიერ აღნიშნულ ფაქტზე გამოთქმულ ვარაუდებსა და კომენტარებში გაიჟღერა მინიშნებებმა მოცემულ ინციდენტთან ქართული მხარის შესაძლო კავშირის შეახებ", - ნათქვამია განცხადებაში.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გამოძიების დასრულებამდე ქართული მხარის მისამართით გამოთქმულ ბუნდოვან მინიშნებებს არაკორექტულად მიიჩნევს. **ინტერპრესნიუსი**

## ვალერი ჩეჩელაშვილი ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი გუშინ თბილისში, ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელს ტორბენ ჰოლცეს შეხვდა.

მხარეებმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ვალერი ჩეჩელაშვილმა და ტორბენ ჰოლცემ იმსჯელეს ასევე ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების სამომავლო გეგმებზე. **ინტერპრესნიუსი**

## რუსულმა სამხედრო ტექნიკამ წალკა დატოვა

9:00 საათზე წალკის ტერიტორია რუსული ტექნიკით დატვირთულმა თერთმეტმა ვაგონმა დატოვა. ეშელონი წალკიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით რუსეთში გაემგზავრა. მორიგი, რიგით უკვე მე-16 ეშელონი წალკიდან იმავე რეისის გავლით 29 აგვისტოს გავა.

ეშელონში ერთი ტანკი T-72, ხუთი BTR-70 ორი, BTC-4 და ასევე რეაქტიული ჭურვები იყო მოთავსებული: 122 მმ. სამოცდაათი ტონა, ხოლო 152 მმ. ოთხმოცდათორმეტი ტონა. სამხედრო ტექნიკა ერთი კვირის განმავლობაში ახალქალაქის რუსული ბაზიდან გამოჰქონდათ. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

### სახელმწიფო კომპენსაციებსა და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს 480421,33 ლარი მოხმარდება

წელს საქართველოში სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების გასაცემად 480421,33 ლარია გამოყოფილი.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, ამ დროისთვის საქართველოში სახელმწიფო კომპენსაციებითა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიებით მოსახლეობის 7 კატეგორია სარგებლობს. ამ რაოდენობაში შედის ე.წ გარდაცვლილთა პენსიები, რომლებსაც მათი ოჯახის წევრები იღებენ. მიმდინარე წელს ამგვარი პენსიებისთვის 25 261,62 ლარია გამოყოფილი.

309 500,00 ლარით განისაზღვრა საქართველოს ყოფილ პარლამენტართა საკომპენსაციო თანხები. საქართველოში სულ, ყოფილი პარლამენტის 582 წევრია.

39 503,59 ლარით დაფინანსდა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მქონე 295 მოქალაქე. სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, კომპენსაციით არიან უზრუნველყოფილნი ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის ოჯახის წევრები. ამ კატეგორიის საკომპენსაციო თანხა 6 პიროვნებაზე გაიცემა და მთლიანობაში იგი 4 000 ლარს შეადგენს. 538,35 ლარი გამოიყო უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე 2 პიროვნების ყოველთვიური კომპენსაციისთვის. კომპენსაცია ეძლევათ უზენაესი სასამართლოს 42 წევრსა და საკონსტიტუციო სასამართლოს 2 წევრს. საურავის, ჯარიმისა და ალიმენტის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 241, 77 ლარია გამოყოფილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აფხაზებმა დაგეგმილზე ნაკლები ჭირნახული მიიღეს

სეპარატისტული აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის ვიტალი სმირის ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკაში მაისის თვიდან 1 928 ტონა ჩაია შეგროვებული. თამბაქოს შეგროვების გეგმა კი - 59,4 პროცენტით შესრულებული. მისივე ინფორმაციით, ზაფხულის განმავლობაში დაგეგმილი 710 ტონა ბოსტნეულიდან 300 ტონა ბოსტნეულია შეგროვებული. გეგმით გათვლილი 550 ტონა კარტოფილიდან 115 ტონაა მოწეული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია რვა მეწარმემ მოიპოვა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე, მოლუსკ რაპანის თევზჭერის ლიცენზია 18-მა მეწარმემ მოიპოვა. აუქციონზე გამოტანილი იყო ოცი ობიექტი - ბორჯომის, ბოლნისის, რუსთავის, საჩხერის, გორის, მცხეთის, კასპის, ლანჩხუთის, სენაკის, ხაშურის, მესტიის, წალენჯიხის, ახალქალაქის და ოზურგეთის რაიონებში. აუქციონში მონაწილეობას იღებდა 21 მეწარმე, გამარჯვებულად გამოცხადდა 18 მეწარმე. აუქციონზე დაფიქსირებულმა თანხამ 615 864 ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოლუსკ რაპანის თევზჭერის ლიცენზია "ტერრა გეორგიკამ" მოიპოვა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შავ ზღვაში მოლუსკ რაპანის თევზჭერის ლიცენზიის მოპოვებისთვის გამართულ აუქციონზე გამოტანილი იყო ოთხი ლოტი. აუქციონში მონაწილეობდა 1 მეწარმე. გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს "ტერრა გეორგიკა" აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 2 296 ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველო ირანთან შესახებ ხელშეკრულებას გააფორმებს

რიგით მე-6 ქვეყანა, რომელთანაც საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას გააფორმებს, ირანის ისლამური რესპუბიკა იქნება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, ირაკლი ჩოგოვაძემ განუცხადა. მისივე თქმით, ანალოგიური ხელშეკრულების გაფორმება იგეგმება თურქეთის რესპუბლიკასთანაც. როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, ხელშეკრულება, სავარაუდოდ, ირანი-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომის ფარგლებში მოხდება. მისივე თქმით, კომისიის სხდომის გამართვის თარიღი დადგენილი არ არის, თუმცა, მინისტრის თქმით, იგი ირანში, სავარაუდოდ, სექტემბერში შედგება. დღეისათვის საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი უკრაინასთან, რუსეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანსა და მოლდოვასთან მოქმედებს. თუმცა, ამ ქვეყნებში შეზღუდვები სხვადასხვა პროდუქციაზე მაინც არსებობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დეფიციტი "თბილსრესიდან" შეივსება

გუშინ ენგურჰესზე მომხდარი ავარია ლიკვიდირებულია და სამივე აგრეგატი ჩვეულებისამებრ მწყობრშია და მუშაობას განაგრძობს, - აცხადებენ ელექტროსისტემაში. გუშინ გამორთული ერთი აგრეგატის გამო სისტემაში არსებული დეფიციტი "ენგურჰესის" სხვა აგრეგატის ამოქმედებით აღმოფხვრეს და მოსახლეობას დენი უწყვეტი რეჟიმით მიეწოდებოდა. თუმცა ჰესი ავარიებისაგან დაცული მაინც არ არის, რადგანაც აგრეგატები დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას საჭიროებენ.

"ენგურჰესის მხოლოდ მე-3 აგრეგატის რეაბილიტაცია განხორციელდა, რომელსაც სულ მალე კომპანია "სიმენსი" ტესტირებას ჩაუტარებს და მის ქმედითუნარიანობაში დარწმუნდება. სულ მალე კი მე-2 აგრეგატის რეაბილიტაციას დაიწყებს. პირველი, მე-4 და მე-5 აგრეგატები "ცოცხალმკვდარ" მდგომარეობაში არიან და სასწრაფოდ მიხედვას საჭიროებენ. თუკი "ენგურჰესზე" რაიმე გაუთვალისწინებელი ავარია დაფიქსირდება, დეფიციტს "თბილისრესიდან" შევავსებთ," - განუცხადა სააგენტო ჯი-ეიჩ-ენს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ აჩიკო ნიკოლაიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თანამედროვე აეროპორტი დათქმულ ვადაში

პირველი გვერდიდან

მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ გუშინ ტერმინალის ახალი შენობის გადახურვის სამუშაო დაათვალიერა და უკვე განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლებისგან ანგარიში ჩაიბარა.

ამ ეტაპზე, "TAV URBAN GEORGIA"-ს წარმომადგენლების განცხადებით, ტერმინალის ახალი შენობის გადახურვა დაიწყო. **"შესაბამისად, ყველაფერი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რომლის შესაბამისადაც, ტერმინალის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ა.წ. 23 ნოემბერს ჩატარდება,"** - განაცხადა "TAV URBAN GEORGIA"-ს გენერალურმა მენეჯერმა ერსელ გორალიმ. აი, სრული დატვირთვით ფუნქციონირებას კი ტერმინალი 2007 წლის 10 იანვრიდან დაიწყებს. აეროპორტის გახსნიდან სრულ ამუშავებამდე პერიოდს ინვესტორი ალჭურვილობის შესამოწმებლად გამოიყენებს.

კერძოდ, საინვესტიციო პროექტი თანამედროვე ასაფრენი ბილიკების მშენებლობას, 24 ახალი საკონტროლო და მგზავრთა გასამგზავრებელი პუნქტის მოწყობას და ბარგის შემოწმების ახალი, თანამედროვე სისტემის დამონტაჟებას ითვალისწინებს. ახალი აეროპორტი სამი ტელესკოპური ტრაპით იქნება უზრუნველყოფილი.

აეროპორტის ფართობი 24 000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, 40 000 კვადრატული მეტრი კი გარე ფართობია.

2007 წლიდან თავისი მასშტაბითა და დიზაინით თბილისის საერთაშორისო აეროპორტი რეგიონში ყველაზე დიდი და თანამედროვე აეროპორტი გახდება. გახსნის შემდეგ ის საათში 1 500 მგზავრის მომსახურებას შეძლებს.

შეგახსენებთ, რომ "TAV URBAN GEORGIA" თბილისის საერთაშორისო აეროპორტისა და ბათუმის აეროპორტის ინვესტორია. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მართვა ინვესტორმა 2005 წლის ნოემბერში დაიწყო. ახალი ტერმინალის მშენებლობას კი საფუძველი 2006 წლის იანვარში ჩაეყარა. მაისში კომპანიამ ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები ბათუმის აეროპორტშიც დაიწყო. ორივე პროექტში კომპანია 90,5 მილიონ დოლარს ჩადებს.

# 15 მილიონი დოლარი აგრობიზნესის გასავითარებლად

### ფერმერებმა ბიზნესგეგმები უნდა მოამზადონ

ნინო ნატროშვილი

ფონდმა "ათასწლეულის გამოწვევა საქართველომ" და მისმა კონტრაქტორმა კომპანიებმა აგრობიზნესის განვითარების პროექტის განხორციელება დაიწყეს. ამჯერად მცხეთაში შედგა პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც რეგიონის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე, ადგილობრივი ფერმერები, პროექტის წარმომადგენლები და აგრობიზნესის განვითარების პროექტის ხელმძღვანელი როდ ბისონი ესწრებოდნენ.

აგრობიზნესის განვითარების პროექტის ხანგრძლივობა 4 წელია, ხოლო მისი ღირებულება 15 მილიონი ამერიკული დოლარი. ეს პროექტი არის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 295-მილიონიანი დახმარების ნაწილი, რომელსაც საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2005 წლის სექტემბერში მოაწერეს ხელი.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების ზრდისკენ მიმართული პროექტების რეალიზების ხელშეწყობას. პროექტის ხელმძღვანელის როდ ბისონის შეფასებით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქვეყანაში აგრობიზნესი განვითარდება, რაც საერთაშორისო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას უზრუნველყოფს.

აგრობიზნესის განვითარების პროექტი სამი კომპონენტისაგან შედგება. პირველი კომპონენტი ითვალისწინებს საწარმოთა ხელშეწყობას. ოთხი წლის განმავლობაში კონკურსის წესით შერჩეული 280 წილობრივი გრანტის მიმღები პროექტი ორიენტირებული იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, მომსახურების გაუმჯობესებისა და მცირე გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისაკენ. ამ მიმართულებით, პროექტი სოფლად ფერმერთა მომსახურების ცენტრების ქსელის შექმნას ითვალისწინებს, რის შემდეგაც ფერმერებისათვის გადაიჭრება სოფლად ძირითად საშუალებებზე (სათესლე-სარგავი მასალა, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქი, ვეტერინარული მომსახურება, მანქანა-დანადგარები) ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამ სეგმენტში პროექტებზე 5-დან 50 ათას დოლარამდე გრანტები გაიცემა მიმღების მხრიდან 0,5 შეფარდებული ერთთან ერთი წლით თანადაფინანსების პირობით. სულ აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში 7,5 მილიონი აშშ დოლარია გათვალისწინებული.

პროექტის მეორე კომპონენტია უწყვეტი საწარმოო ჯაჭვის შექმნა, რომლის ფარგლებშიც კონკურსანტთა თანამონაწილეობით ოცამდე პროექტი დაფინანსდება, რომელიც მიმართული იქნება წარმოების სრული ჯაჭვის შექმნისაკენ. ეს კი სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის მოყვანას, მოსავლის აღებას, შენახვას, გადამუშავებას და, საბოლოოდ, ბაზარზე გატანას გულისხმობს. ამ შემთხვევაში 50-დან 300 ათას დოლარამდე გრანტები გაიცემა მიმღების მხრიდან 1,5 შეფარდებული ერთთან წილის დაფინანსების პირობით. სულ აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში 3,8 მილიონი აშშ დოლარია გათვალისწინებული.

"ფერმერის ბიზნესგეგმა რომ დაფინანსდეს, მას უნდა ჰქონდეს შემხვედრი თანხა. ეს პროექტი სასტარტო ბიზნესის დაფინანსებას არ ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი არის დროში გაწერილი და მომგებიანი. ბიზნესმენმა გეგმა უნდა წარადგინოს ორგანიზაციის ოფისში, რომელსაც სპეციალური ჯგუფი ორი თვის განმავლობაში განიხილავს," - განუცხადა "24 საათს" როდ ბისონმა. როგორც პროექტის წარმომადგენლები აცხადებენ, ბიზნესგეგმების განხილვის პროცესი იქნება გამჭვირვალე. ბიზნესგეგმის განხილვის პროცესში უპირატესობა მიენიჭება ისეთ პრიორიტეტებს, როგორიცაა ხალხის დასაქმება და ბიზნესის განვითარება. დაწუნებული პროექტის შემთხვევაში შენიშვნები ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსდება. ფერმერს პროექტის გადამუშავების და ხელახლა წარდგენის უფლება რამდენიმე თვეში ისევ ექნება. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ფერმერებმა ბიზნესგეგმები აგრობიზნესის განვითარების პროექტის თბილისის ოფისში 8 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ.

# საქართველოში კავშირგაბმულობის ბაზრის 35-40 პროცენტი ათვისებულია

დსთ-ს ქვეყნების სტატისტიკის კომიტეტის მონაცემებით, საქართველო ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებელი აბონენტების რაოდენობით მეექვსე ადგილზეა.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ათვისებულია მომხმარებელთა ბაზრის მხოლოდ 35-40%. მათი თქმით, აღნიშნული, ძირითადად, წუთობრივი სასაუბრო დროისა და SMS-შეტყობინებების ტარიფის მაღალი ღირებულებით, როუმინგული მომსახურების გართულებული სერვისითა და "არასამართლიანი" წუთობრივი დამრგვალებითაა განპირობებული. თუმცა უმთავრეს მიზეზად ჯერაც დაბალი სპეციალური ფონი სახელდება.

ამავე დროს, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ქართული ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე მძლავრ ექსპანსიას გეგმავს რუსული კომპანია "ვიმპელკომი" (სავაჭრო მარკა - "ბილაინი"). არსებული ინფორმაციით, "ვიმპელკომი" ამჟამად ბაზრის ინტენსიურ კვლევას აწარმოებს და მომხმარებელს სრულიად ახალ სერვისს და მომსახურების მისაღებ ტარიფებს შესთავაზებს. 20012 წლისთვის კომპანია ქართული ბაზრის 25-30 პროცენტის ათვისებას გეგმავს.

"ვიმპელკომის" "დასახვედრად" აქტიურად ემზადებიან ქართულ ბაზარზე დამკვიდრებული კომპანიები - "მაგთი" და "ჯეოსელი", თუმცა მათი სტრატეგია ძვირადღირებულ სარეკლამო კომპანიასა და მასისათვის ხელმიუწვდომელ ელიტარულ თუ ნახევრადელიტარული ღონისძიებების დაფინანსებას არ სცდება. სხვა მხრივ, ის, თუ რას შესთავაზებენ უახლოეს პერიოდში ქართული ფიჭური კომპანიები მომხმარებლებს და როგორ დახვდებიან ახალი ოპერეტორის - "ვიმპელკომის" შემოსვლას ქართულ ბაზარზე, ამ ეტაპზე უცნობია.

საქართველოში ფიჭური კავშირგაბმულობით მომხმარებელთა რაოდენობა 1.9 მილიონ აბონენტს შეადგენს.

ყველაზე მეტი მომხმარებელი და ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი რუსეთს ჰყავს. რუსეთში აბონენტების რაოდენობა 140,3 მილიონია. მეორე ადგილზეა უკრაინა -35,9 მილიონი აბონენტი, მესამე ადგილზე ყაზახეთი - 6,6 მილიონი აბონენტი.

შემდეგ მოდიან: ბელორუსი - 5, 0 მილიონი, აზერბაიჯანი - 2,9 მილიონი, საქართველო - 1,9 მილიონი, უზბეკეთი - 1,7 მილიონი, მოლდოვა - 1,2 მილიონი, ყირგიზეთი - და სომხეთი - 700 ათასი, ტაჯიკეთი - 600 ათასი, თურქმენეთი- 100 ათასი. **ჯი-ეიჩ-ენი**


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის წინ მდებარე დეკორატიული შადრევნის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

გასაწევი მომსახურების მოკლე დახასიათება:

შადრევნის ექსპლუატაცია (საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე შეკეთება), წყლის, ელექტროენერგიის და სხვა კომუნალური ხარჯების დაფარვა და კონტროლი, სადღეღამისო დაცვა;

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 სექტემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 23 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 13 სექტემბრის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ზაქარია ჩოთირიძე საკონტაქტო ტელეფონი 99-54-20, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**



# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**
**განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე.

სამინისტროს ავტოპარკი შეადგენს 296 ავტომობილს (183 ერთეული რუსეთის და 116 - უცხოური წარმოების). მომსახურება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, 2006 წლის ბოლომდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ტელ: 22-69-07.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 11 სექტემბრის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ავტოტექმომსახურება, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 12 სექტემბრის 12 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

*სატენდერო კომისია*

# ელფრიდეს ვნებანი

## ელინეკის ყველაზე სკანდალური რომანის მოლოდინში

სოფო კილასონია

თბილისის წიგნის მაღაზიებში ავსტრიელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ელფრიდე ელინეკის რუსულ ენაზე თარგმნილი რამდენიმე რომანი უკვე კარგა ხანია რაც გაყიდვაშია. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტს არც არანაირი დისკუსია და მით უფრო, არც არანაირი ვნებათაღელვა (საბედნიეროდ) არ მოჰყოლია. თუმცა ეს ერთგვარი სიმშვიდე არა ჩვენი გაწონასწორებული განსჯის უნარისა და "ღია, თავისუფალი ტექსტების" სიყვარულიდან გამომდინარეობს, არამედ ალბათ მხოლოდ და მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამ ავტორისა და მისი რომანების შესახებ ფართო საზოგადოება (და არავითარ შემთხვევაში მასა) რიგიანად ინფორმირებული არ გახლავთ, ანდა უბრალოდ ამ ტექსტებისადმი ინტერესი დიდად არაფრად გამოირჩევა. შესაძლოა ვცდებოდეთ, მაგრამ ამა თუ იმ, არცთუ ისე "სიმპათიური" ლიტერატურული ქმნილებებისადმი უახლოეს წარსულში ჩვენი საზოგადოების რეაქცია რომ გვახსენდება, სხვა დასკვნებამდე ვერ მივდივართ.

ელფრიდე ელინეკის რომანების მკითხველებსა და კრიტიკას რადიკალური პოზიციის დაჭერა არ უჭირთ. ის ან მისაღებია, ანდა არა, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა და სჯა-ბაასი მაინც აქტუალურია და ცოცხალი. რვა ნაწარმოებიდან არც ერთის გამოსვლას ევროპაში არ ჩაუვლია ვნებათაღელვის გარეშე. ამ რვა რომანიდან ქართველი მკითხველი სულ სამს იცნობს, თავისთავად ცხადია, რომ რუსული თარგმანით. სულ მალე მათ რიცხვს ელინეკის კიდევ ერთი ნამუშევარი შეემატება. მისი სათაურის თარგმნის საქმეს ოდნავ რიტორიკულად რომ მივუდგეთ, "ვნება" (Lust) უნდა გამოგვივიდეს. ეს წიგნი, რომელიც რუსულ ენაზე უკვე გამოიცა, ავტორმა 1989 წელს დაწერა. მის პირველ პუბლიკაციას უზარმაზარი სკანდალი მოჰყვა. რომანი მაშინ შერაცხეს როგორც გულახდილი პორნოგრაფია. კრიტიკა ენერგიას არ ზოგავდა, პოლიტიკოსები აზრის გამოთქმისგან თავს იკავებდნენ, მისი აღმატებულება საზოგადოება კი რომანის სასწრაფოდ აკრძალვას ითხოვდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის ფონზე ახალი წიგნის ტირაჟმა 100 ათასს მიაღწია.



17 წლის შემდეგ ელინეკის "ვნებანი" ჩვენთვის ყველაზე კარგად გასაგებ ენაზე ითარგმნა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში მომღერალ მადონას წინააღმდეგ ხმალამოღებულმა ზნეობის მცველებმა ამ წიგნის გამოსვლა ვერც კი შენიშნეს. მიუხედავად ამ ერთგვარი უყურადღებობისა, ელინეკის წიგნებზე მოთხოვნა იგივე რუსეთში ძალზე დიდია. 2006 წელს მათ ამ ავტორის უკვე ორი წიგნი თარგმნეს, ტექსტები, რომელთაც წინ მუდამ ეპიგრაფად უძღვის ფრაზები და ეპითეტები: - რთული, ავანგარდული, ტაბუირებული, არამასობრივი კითხვისთვის ა.შ.

ნობელის პრემიის თანხლებ შეფასებებს, რომელიც ელინეკის მისამართით გაილო კომიტეტმა, იოლად ვერ ჩამოვაყალიბებთ, თუმცა შევეცდებით: "მუსიკალური გადასვლებისთვის ტექსტებში, ექსტრაორდინალური ლინგვისტური აღმოჩენებისთვის, სოციალური კლიშეების მოშლისა და მათი აბსურდულობის ოსტატურად გამოვლენისთვის. ამბობენ, რომ "ვნებაში" ეს ყველაფერი ყველაზე მკაფიო და საგრძნობია. იდეა, სიუჟეტი, ხასიათები და კონფლიქტები, ტრადიციული ლიტერატურის გაგებით, არა მეორე, არამედ მეათე ადგილზე გადადის. "რომანის მთავარი გმირი და მთავარი ღირსება - ვნებაა".

ვნახოთ, რას წერს რუსული და დასავლეთ ევროპული კრიტიკა ელინეკის ამ ყველაზე გამორჩეული წიგნის შესახებ: "რომანის თემად ელინეკი იღებს ძალადობას კერძო, ინტიმურ ცხოვრებაში, სურს დაგვანახოს ქალის როლი სამყაროში, სადაც ყველაფრის მნიშვნელობა ტოტალურად სამომხმარებლო ფუნქციამდე დაეშვა, აინტერესებს ადამიანის სახე და მისივე მარტოობა დამღლელი ერთფეროვნების წინაშე..." "ამ წიგნის განსაზღვრა შეიძლება, როგორც ანტიპორნოგრაფიული რომანისა. როგორც ბოროტი, მაგრამ ვირტუოზულად შეთხზული პაროდია პორნოგრაფიის ენასა და თემაზე. ტექსტი, რომელიც თანამედროვე ობივატელის აზროვნებას შეჭამს..."

მას შემდეგ, რაც შიდსი ალპურ მთებს გადალახავს, პატარა ქალაქში პროსტიტუცია სამუდამოდ აიკრძალება და ერთ-ერთი ფაბრიკის ყოვლისშემძლე დირექტორის სექსუალური რაციონიც მისი მეუღლით, გერტათი შემოიფარგლება. კეთილშობილი ქალისთვის ეს ოჯახური ერთფეროვნება მომაბეზრებელი გახდება თურმე და ის სახლიდან გაქცევას გადაწყვეტს. ყოველი მცდელობა კრახით სრულდება, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს მისი სახლის სიახლოვეს, დათოვლილ მთებთან ერთი ახალგაზრდა სტუდენტი აღმოჩნდება...

ის, ვინც ამ ყველაფრის შემდეგ ბედნიერ დასასრულს ელის და ის, ვინც ისტორიის ამ ნაწილის მიხედვით რომანს ჩვეულებრივ ოჯახურ დრამად მიიჩნევს, ვფიქრობთ, რომ ნამდვილად შეცდება და თანაც მოვლენათა არაორდინალურ მსვლელობას ვერ გაუძლებს. რომანში ბევრი რამ ხდება, რისი ცოდნაც წაკითხვამდე შემდგომ პროცესს ინტერესს მოაკლებს, თუმცა ის მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ გერტას უცხო ადამიანებისადმი გამომჟღავნებულ ველურ ვნებას და სულ ბოლოს ვაჟის მკვლელობას, საბოლოოდ უხეშსა და "უხამს" აბსურდამდე მივყავართ.

მიუხედავად მოვლენათა ამგვარი მსვლელობისა, ელინეკის რომანის კითხვისას მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი პროზა იკითხება როგორც პოეზია, იკითხება როგორც მუსიკა და მხოლოდ ამ შემთხვევაში მივუახლოვდებით ავტორის იშვიათ ტალანტს, რომლის წყალობითაც მან ნობელის პრემია დაიმსახურა. ისე, როგორც ელფრიდე ელინეკის ჩვენთვის უკვე ცნობილ რომანებში, არც "ვნება" შეგვაწუხებს სახეთა განზოგადებით, ხასიათებისა და გმირების გამორჩეული თვისებების და ზოგადად დეტალების აღწერით. ესეც გასაგებია, ელინეკს ხომ ღრმად სჯერა: "რომ შტამპებისა და მითების სამყაროში ინდივიდუალიზმი არარსებული რამაა და უაზრობაა მისი გამოგონება."

თუ ელინეკის მკითხველი ხართ, ერთი რამ მაინც უნდა მიიღოთ, ანდა უბრალოდ შეეგუოთ. შეეგუოთ სწორედ იმ სიძულვილს, რომლითაც მწერალი გარემომცველ სამყაროს უყურებს და რაც, მისივე აღიარებით, მისთვის ერთადერთი, მაგრამ ძლიერი სტიმულია შემოქმედებით პროცესში.

ელინეკის წიგნები შესაძლოა მართლაც იყოს პოეტური და მუსიკალური, თუმცა ჩვენ არ აღმოვჩნდებით უმცირესობაში თუ ვიტყვით, რომ ეს სიცოცხლის სიძულვილით გაჯერებული პოეზიაა, შიშით გამსჭვალული პოეზია, "ცივილიციის მოთხოვნებით დაჩაგრული" დასავლელი ადამიანის შიშით, რომელსაც ყველაზე ხშირად ელფრიდე იმ "ცხოველის" წინაშე გრძნობს, რომელსაც მამაკაცში ხედავს. რაც ძალზე კარგად ჩანს იგივე "პიანისტ ქალში", რომელსაც, ვფიქრობთ, თანამედროვე ლიტერატურის ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს. სამწუხაროა, რომ მოვლენას, სახელად "ელფრიდე ელინეკი", ძვირფასი ექიმი ფროიდი დროში ასცდა, ის ალბათ ამ შემთხვევას განსაკუთრებულთა სიაში ჩაწერდა.

---

მოკლედ

### თბილისს ბელა ახმადულინა ეწვევა

თბილისი შემოდგომაზე არაერთ საინტერესო კულტურულ ღონისძიებას უმასპინძლებს, თუმცა ერთ-ერთი გამორჩეული საღამო ოქტომბრის ბოლოს იგეგმება - თბილისელი პოეზიის მოყვარულები ცნობილ რუს პოეტს ბელა ახმადულინას მოუსმენენ.

"ბელა ახმადულინას პოეზიის საღამოს გამართვა თბილისს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში იგეგმება, რომელსაც ახმადულინა თავად ეწვევა. რუსული კულტურის და, ზოგადად, პოეზიის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ კიდევ ერთხელ მოუსმინონ თანამედროვე რუსული პოეზიის კლასიკოსს", - განაცხადა ფესტივალ "საჩუქარის" ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ.

ბელა ახმადულინა რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია. პოეტი, რომელსაც მომავალი წლის 10 აპრილს სამოცდაათი წელი უსრულდება, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პერიოდში რუსული პოეზიის ცოცხალ კლასიკოსად აღიარეს.

ახმადულინა საზოგადოებამ მისი პირველივე ლექსებიდან აღიარა. პოეტის ლიტერატურული გზა თვითმყოფადი მხატვრული სამყაროა, რომელიც საოცარი სინატიფით და ლექსის წყობის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მანერით გამოირჩევა.

განსაკუთრებულია პოეტის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად არ შეცვლილა.

ორმოცი წიგნის ავტორის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის კრებულს "სიზმრები საქართველოზე", რომელიც უპირობოდ ადასტურებს კლასიკოსის პატივისცემასა და სიყვარულს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

"საჩუქარის" ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ახმადულინას პოეზიის საღამო ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული ღონისძიება იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მიხეილ ლერმონტოვის ცხოვრება

ქართველი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე რუსი პოეტის, მიხეილ ლერმონტოვის ცხოვრების შესახებ ხუთსერიან სატელევიზიო ფილმს იღებს.

კავკასიაში გადასახლებულ ახალგაზრდა პოეტს, თავის დროზე, მოსკოვისა და პეტერბურგის სალონებში "მიშელ ლერმონტოვს" ეძახდნენ, რის გამოც ფილმის სახელწოდებად, სწორედ ეს შეირჩა. სერიალში დაკავებულია კიდევ ერთი ქართველი, დამდგმელი ოპერატორი - დიმიტრი კვირიკაძე.

შემოქმედებითმა ჯგუფმა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ოთხი სერიის გადაღებები დაასრულა და ბიოგრაფიული ფილმის "მიშელ ლერმონტოვის" მე-5 სერიის გადაღებებს კავკასიაში, კერძოდ პიატიგორსკში, ლერმონტოვის სახლ-მუზეუმში გააგრძელებს. ფილმის პროდიუსერია სერგეი ჟიგუნოვი; სცენარის ავტორი ალექსანდრ ჩერვუნსკი.

ფილმის ავტორები აღნიშნავენ, რომ ფილმში ლერმონტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ფაქტების წარმოჩენა სურთ.

რეჟისორი ნანა ჯორჯაძე კი აღნიშნავს, რომ რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე დაფარული, არაერთმნიშვნელოვანი და ამოუხსნელი ფიგურის ამპლუაში, თუნდაც დროებით შესვლა, მაქსიმალისტად და იმედგაცრუებულ მეოცნებედ გადაქცევა, რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფისთვის ძალზე რთულ ამოცანას წარმოადგენდა.

"რამდენად შევძელით ეს ყველაფერი, ამას მაყურებელი ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ შეაფასებს", - აღნიშნავს რეჟისორი.

პოეტის როლს მაყურებლისათვის კარგად ცნობილი მსახიობი ალექსანდრ ჩურსინი ასრულებს, რომელიც მაყურებლისთვის ცნობილია სერიალში "ქირომანტია". პოეტის ბაბუის როლს - ცნობილი რუსი მსახიობი ალექსანდრე აბდულოვი ითამაშებს.

"მიშელ ლერმონტოვის" ჩვენება 2007 წელს რუსეთის ტელევიზიის პირველ არხზე შედგება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რეზო გიგინეიშვილი და ფიოდორ ბონდარჩუკი

რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი ახალ ფილმზე მუშაობას შეუდგა. ფილმის, სახელწოდებით "სიცხე", პროდიუსერია ფიოდორ ბონდორჩუკი, კომპოზიტორი კი ცნობილი ქართველი მუსიკოსი დათო ევგენიძე.

"ახალი ფილმი მაყურებელს გიორგი დანელიასა და მარლენ ხუციევის პოპულარულ, კლასიკურ ფილმებს გაახსენებს, რომლებიც უცვლელი ადამიანური ღირებულებების, სიკეთისა და სიყვარულისთვის ქედის მოხრაა", - განაცხადა რეჟისორმა.

ფილმი ოთხი მეგობრის ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც დიდი ხნის განშორების შემდეგ ერთმანეთს მოულოდნელად შეხვდებიან. შეხვედრა ახალგაზრდების ცხოვრებას კარდინალურად ცვლის.

ფილმის გადაღების შესახებ გადაწყვეტილება ფიოდორ ბონდარჩუკმა და მისმა მეგობრებმა გასულ თვეს მიიღეს, რითაც "მე-9 ასეულის" შემქმნელი შემოქმედებითი ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ერთი ინტერესის ქვეშ გაერთიანდა.

ფილმის პროდიუსერები არიან ალექსანდრ როდნიანსკი, დიმიტრი რუდოვსკი და ფიოდორ ბონდარჩუკი. დამდგმელი ოპერატორია მაქსიმ ოსადჩინი.

როლებში მაყურებელი "მე-9 ასეულის" მებრძოლებს იხილავს. ალექსეი ჩუდოვის, არტურ სმოლიანინოვისა და კონსტანტინ კრიუკოვის გარდა, მაყურებელი კადრებში თავად ფიოდორ ბონდარჩუკსაც შეხვდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

---


## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები ღირებულების გარეშე მიმდინარე წლის ***14 სექტემბრის*** ჩათვლით. რის შემდეგაც სატენდერო კომისია წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოავლენს ტენდერის მეორე ეტაპზე მონაწილე პრეტენდენტებს. ამის შემდეგ მათ შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის N3407003205, და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ჩამონათვალი ლოტების მიხედვით:

| ლოტი № | შესასრულებელი საპროექტო სამუშაოს დასახელება |
|---|---|
| 1 | *ბათუმი სამტრედიის ხაზის რეკონსტრუქცია, ორლიანდაგიანი რკინიგზის მიწის ვაკისის და ზედნაშენის მოწყობა მდინარე რიონის ხიდის მისასვლელზე* |

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ***14 სექტემბერს 18 სთ და 00 წთ მდე,*** მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*იურიდიული პირებისათვის :*

ა) წესდება, დადგენილება რეგისტრაციის შესახებ და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

გ) ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ

დ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

*ფიზიკური პირებისათვის :*

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისთვის ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

გ) ინფორმაცია კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად სატენდერო წინადადების ღირებულების მითითების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 33 51,

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.


---


## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საოფისე ქაღალდი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | საოფისე ქაღალდი, A4, 80 გრ | შეკვრა | 10 000 |

cxrili ???

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 11 სექტემბერის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე ქაღალდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 12 სექტემბრის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2006 წლის ბოლომდე.

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

***სატენდერო კომისია***

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

**შესყიდვის ობიექტი - სამგზავრო ლიფტი 4 ცალი.**

**ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ფინანსთა სამინისტროს ახალ ადმინისტრაციულ შენობაში ლიფტების მიწოდება და მონტაჟი 2006 წლის ნოემბრამდე.**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 11 სექტემბრის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ლიფტების შესყიდვა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 11 სექტემბრის 16 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. პრეტენდენტი უნდა იყოს საქართველოში ან სხვა ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი (ცნობა რეგისტრაციის შესახებ).
2. პრეტენდენტის საწარმოს უნდა ჰქონდეს პროდუქციის ხარისხის კონტროლის მენეჯმენტის ISO 9001:2000 საერთაშორისო სერთიფიკატი.
3. პროდუქციას უნდა ჰქონდეს: ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი: CE, ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, ან შესაბამისი სახელმწიფოს, რომელშიც იგი არის რეგისტრირებული, კომპეტენტური სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვით დასტურდება შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი
4. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ანალოგიური პროდუქციის მიწოდების გამოცდილება არანაკლებ 3 წლისა, რაზედაც წარმოდგენილი უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ დამოწმებული ინფორმაცია.
5. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, (რაზედაც წარმოდგენილი უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა).
6. სატენდერო წინადადებების გახსნის თარილისათვის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს შესრულებული მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებები. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმე (უნდა იყოს წარმოდგენილი მისი რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები).

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07

***სატენდერო კომისია***

## განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ორეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობის 2006 წლის პროგრამის" "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები პერტესის დაავადების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესასყიდი მომსახურება -*** დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები პერტესის დაავადების მქონე 15 ბავშვის კომპლექსური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.

***3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის 5 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც. 5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში) სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 სექტემბერს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

a) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

b) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

g) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

d) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

e) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

a) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

b) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

a) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

b) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

g) ინფორმაცია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ, სადაც განხორციელებული იქნება მომსახურება (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

დ) დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მომსახურების განხორციელების ადგილის მისამართი, შენობის (სათავსოს) გეგმა, საჭიროების შემთხვევაში - ქირავნობის ხელშეკრულების ასლი;

ვ) სახელმწიფო ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის შესახებ;

ზ) ინფორმაცია პროექტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა (ექიმებისათვის სერტიფიკატები) და ანალოგიური საქმიანობის გამოცდილების შესახებ

7. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი - ქსეროასლის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მომსახურების აღწერილობა;

ბ) გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

გ) შევსების თარილი და ხელმოწერა.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, ანგარიშის N200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი N300023133 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 11 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

11. სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

12. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

13. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ოდიშარია ტელ: 698485, თეა სტურუა ტელ: 348779 მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო). **E-mail: sales@saesa.gov.ge**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სს "აჭარგაზი" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოო საქონლის - თხევადი გაზის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავალი.

შესყიდვის ობიექტია თხევადი გაზი 500 ტონა(ერთ ლოტად). მიწოდების ადგილი ქ. ბათუმი, ფალავას ქ. №11.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 21 აგვისტოს 10 საათიდან 10 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფალავას ქ. №11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე. სს შუგრეფიმპექს ბანკი ბათუმის ფილიალი, კოდი 245383758, ანგარიშის №2863608. დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი.

